ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4497118

ნომერი: AR1679814

თარიღი : 07.05.2019

გაცემის თარიღი : 13.05.2019

გაცნობის თარიღი : 15.05.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიროტაძე , N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუნუ ვარსემაშვილი პ/ნ 01011022463
- თბილისი დოესის ქ. N 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოადგინეთ დღევანდელი სიტუაციის ამსახველი შორი და ახლო ხედით გადაღებული ფოტოსურათები სხვადასხვა ხედის ფილტრაციით და თარიღის მითითებით. ასევე მასზე კონტურის სახით მონიშნეთ თქვენს მფლობელობაში არსებული საპროექტო ფასადის ფართი.
..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : მოთხოვნის ტექსტი და წარმოდგენილი ფოტომონტაჟი შესაბამისობაში არ მოდის ერთმანეთთან.იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაზე დამუშავებული მაღალი ხარისხისა და მოთხოვნის ტექსტთან შესაბამისობაში მოყვანილი ფოტომონტაჟი, ყველა გაბარიტული ზომებისა და მასალების მითითებით.
ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა/ნაგებობები წარმოადგენს თანასაკუთრებას და დაფიქსირებულია წილობრივი მონაცემები, რითაც ვერ კონკრეტდება ზუსტად რა ფართის მფლობელი ხართ, სად მდებარეობს თქვენი წილი და აღნიშნული წილობრივი მონაცემები არ არის გამიჯნული, საჭიროა დააზუსტოდ, თუ კონკრეტულად რომელი თანამესაკუთრის ფართზე ხორციელდება სამუშაოები და თუ სამუშაოები ცდება თქვენს კუთვნილ ფართს, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი ფართის მესაკუთრის თანხმობა ან მის მიერ თქვენს სახელზე გაცემული შესაბამისი მინდობილობა ან ფართის სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა. რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა" ველში ან წარმოადგინეთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც წილების ნაცვლად იქნება დაფიქსირებული კონკრეტული ფართები.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.